ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 01/89

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის გელა გელაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ამ-ჯორჯია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დიექტორის ალექსანდრე მათეშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველო სკანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

,,ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის“ შესყიდვა (შემდგომში „სამუშაოები“) (CPV კოდი: 45331100) ხელშეკრულების პირობების და დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2 257.14 (ორი ათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 14 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღურებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაობის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი.

5. ხელშეკრულების შესრულების ვადა და მიწოდების პირობები

5.1 სამუშაოები განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის N1.
5.2 სამუშაოები დასრულდება 2018 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

7.2 სამუშაოების განხორციელების განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი)კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადეცემა მიმწოდებლს, ხოლო ორი შემსყიდველს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1
საიდენტიფიკაციოკოდი 205 296 650
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : 707667116
ტელ: 2200220 (3023)

მიმწოდებელი:

შპს „ამ-ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, გლდანის მე-8 მ/რ. კ.34 ბ.40
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
კოდი TBCBGE22
საიდენტიფიკაციოკოდი: 440394976
ა/ანგარიში GE31TB7320336080100011
ტელ: 599 28 71 91

სამსახურის უფროსი ბ.ა.

გელა გელაძე

დირექტორი ბ.ა.

ალექსანდრე მათეშვილი

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.		მასალა		ხელფასი		მექანიზმები		ჯამი
			სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	საქვაბის მოწყობილობა									
1	36 კვტ/სთ საკედლე ქვაბის მონტაჟი	კომპლ	1.00		-	500.00	500.00	40.00	40.00	540.00
2	პანელური რადიატორი H=60სმ L=100 სმ	ცალი	1.00		-	50.00	50.00	0.10	0.10	50.10
3	პანელური რადიატორი H=60სმ L=120 სმ	ცალი	1.00	145.00	145.00	50.00	50.00	0.10	0.10	195.10
4	ჩამკეტ-მარეგულირებელი ვენტილი დ=15მმ	ცალი	4.00	12.00	48.00	2.00	8.00	0	-	56.00
5	ქურო გარე ხრახნით ლით/პლასტ დ=15/20	ცალი	4.00	4.00	16.00	2.00	8.00	-	-	24.00
6	სამონტაჟო ხვრელების მოწყობა - ამოვსება	ცალი	1.00	2.00	2.00	25.00	25.00	0	-	27.00
7	მინაბოჭკოვანი პოლიეთილენის მილის დ=20მმ მოწყობა	გრძ.მ	24.00	1.50	36.00	1.25	30.00	0.2	4.80	70.80
8	მინაბოჭკოვანი პოლიეთილენის მილის დ=25მმ მოწყობა და დადგუშვა	გრძ.მ	4.00	2.20	8.80	1.25	5.00	0.2	0.80	14.60
9	მინაბოჭკოვანი პოლიეთილენის მილის დ=32მმ მოწყობა და დადგუშვა	გრძ.მ	28.00	4.90	137.20	1.25	35.00	0.2	5.60	177.80
10	პლ.ვენტილი ბურთულიანი დ=20მმ /შიდა დიამ/ ცხელი წყლის	ცალი	1.00	7.00	7.00	2.00	2.00	0	-	9.00
11	პლ.ვენტილი ბურთულიანი დ=25მმ /შიდა დიამ/ ცხელი წყლის	ცალი	4.00	8.00	32.00	2.00	8.00	0	-	40.00
12	პლასტმასის სამაგრები	ცალი	12.00	0.40	4.80	0.50	6.00	0	-	10.80
13	პლასტმასის ფასონური ნაწილები დ=20,25,32,მმ	ცალი	57.00	1.50	85.50	0.50	28.50	0	-	114.00
14	გაზის შლანგი	გრძ.მ	2.00	3.00	6.00	1.00	2.00	0	-	8.00
15	გაზის შტუცერი	ცალი	1.00	5.00	5.00	1.00	1.00	0	-	6.00
16	საიზოლაციო მილი BLACK SWAN 6/35	გრძ.მ	20.00	1.80	36.00	0.50	10.00	0	-	46.00
17	ლითონის კარადა	1						0		

	დათბუნებული		1.00	400.00	400.00	20.00	20.00		-	420.00
	ჯამი				969.30		788.50		51.40	1,809.20
	მათ შორის: მოწყობილობა									-
	სამშენებლო სამუშაოები									1,309.20
	სამონტაჟო სამუშაოები									500.00
	ზედნადები ხარჯები	5%								90.46
	ზედნადები ხარჯები სამონტაჟო სამუშაოებზე ხელფასიდან	50%								250.00
	ჯამი									2,149.66
	მოგება	5%								107.48
	სულ ჯამი									2,257.14

სამსახურის უფროსი ბ.ა.

გელა გელაძე

დირექტორი ბ.ა.

ალექსანდრე მათეშვილი